

რუსულან ამირეჯიბი

“სიბრაზის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში

ამ სტატიით ვაგრძელებთ სემანტიკური დომინანტის მიხედვით დაჯგუფებული ქართული ზმნური ფრაზეოლოგიზმების განხილვას. (“სიკვილის”, “შიშისა” და “სირცხვილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები იხ. *ენათმეცნიერების საკითხები* №1, №4, 1999, №2, 2003). ამჯერად “სიბრაზის” სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს გავაანალიზებთ. ჯერ მათ განვიხილავთ იმ ნიშნების მიხედვით, რომლებითაც სხვა ველის ფრაზეოლოგიზმები განვიხილეთ (ლექსიკური შედგენილობა, ხატოვანება, სტილი, გრამატიკული ბუნება, იშვიათი სიტყვები, თარგმანის პრობლემები), შემდეგ კი ვეცდებით თანამედროვე ლინგვისტური მეთოდებით გავაანალიზოთ ისინი.

1. ამ ველის ფრაზეოლოგიზმები გამოხატავენ გაბრაზებული კაცის ემოციურ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია მისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით ვინმეს მიმართ, ვინმეს არასწორი ან უსამართლო საქციელის, მოქმედების ან რაიმე მოვლენის მიმართ. ბრაზს იწვევს აგრეთვე წინააღმდეგობის შეხვედრა მიზნის მიღწევის გზაზე.

“გაბრაზების” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ განცდის სიძლიერი მიხედვით (გალიზიანება, გაბრაზება, ძლიერი გაბრაზება, განრისხება). ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღწერენ გაბრაზებული ადამიანის მოქმედებას ბრაზის ობიექტის მიმართ (ტუქსვა, გაწყრომა და ა.შ.) ჩვენ მხოლოდ იმ ფრაზეოლოგიზმებს ვიხილავთ, რომელთა განმარტებაში გვხვდება სიტყვები *ბრაზობს, მრისხანებს, ღიზიანდება* ან მათი ფუძეებისგან ნაწარმოები სიტყვები და ამათი სინონიმები: *გაგულისდება, გაცეცხლდება, გარისხდება, გაწიწმობდება, გახელდება, გაპილიდება, გააღმასდება* და სხვ. ამ სტყვებს ვხვდებით ჩვენი ფრაზეოლოგიზმების განმარტებაში ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

2. ემოციის სიძლიერე დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რით არის იგი გამოწვეული, არამედ ადამიანის ენერგეტიკაზეც. ბრაზი ერთერთი ყველაზე მკვეთრი ემოციაა, რომელშიც ადამიანის ენერგეტიკა ვლინდება. ძლიერი ენერჯის მქონე ადამიანები რისხდებიან, ჩქარა მოსდით გული (ზოგზე იტყვიან: **თოფის წამალით იფეთქებსო**, ანუ ფიცხია, ცხარია, უცებ იცის გულის მოსვლაო, ზოგზე კი ამბობენ: **ცხენიან კაცს დაბლა ჩამოიდებსო**, ე.ი. ძალიან ავია, ბრაზიანიო), ნაკლებად ენერჯიული ადამიანები კი უფრო გალიზიანებას გამოხატავენ (ზოგჯერ ერთი და იგივე იდიომი აღელვებასაც ნიშნავს და უფრო ძლიერ გრძობასაც). ამიტომ ამავე ველში შედის გალიზიანების, შეწუხების გამომხატველი ასეთი ფრაზეოლოგიზმები:

აბეზარს მოჰყავს – მოთმინებას აკარგვინებს, თავს აბეზრებს, აწუხებს

გაუჭირებს საქმეს – შეაწუხებს, გააღიზიანებს

გულს უწვრილებს – მოთმინებას აკარგვინებს, თავს აბეზრებს, აწუხებს

გულს უწყალებს – იგივეა

გულში ჩაიხვევს – არ შეიმჩნევს, მაგრამ დაიმახსოვრებს წყენას, სიბრაზეს

თავს აბეზრებს – გულს უწვრილებს, გულს უწყალებს, აწუხებს, მოთმინებიდან გამოჰყავს

თავპირს მოაჭამს – გაუჭირებს საქმეს, სულს შეუწუხებს

ერევა სული და გული – წონასწორობას კარგავს

კუდი ეწვის/ დაეწვება – ენიშნება და გაბრაზდება, ეწყინება ისეთი რამე, რაც თითქოს მას არ ეხება.

მოთმინება გაუწყდება – გალიზიანდება, აღელდება

მოთმინება შემოეღევა – იგივეა

მოთმინებიდან გამოევა/ გამოიყვანს – აღელვებს, გააბრაზებს მოთმინებას, წონასწორობას დააკარგვინებს

მოთმინებას დაკარგავს (დაუკარგავს, დააკარგვინებს) - იგივეა

მოთმინების (მოთმენის) ბეწვი გაუწყდება – მეტის მოთმენა აღარ შეეძლება

მოთმინების ფიალა ავესება – იგივეა

მოთმინების თასი დაეცლება – იგივეა
მოთმინების ძაფი უწყდება – იგივეა
მწყობრიდან გამოვა/ გამოიყვანს – მოთმინებიდან გამოიყვანს
ნერვები ეშლება/ ნერვებს უშლის – ღიზიანდება
სულს შეუწუხებს – შეაწუხებს, გააღიანებს
ტვინს აუღუღებს – ააღუღებს, ალაშფოთებს, აბრაზებს
ტვინს უღრღნის – აწუხებს
ტვინს უხვრეტს – გულს უწყალებს, თავს აბეზრებს
ცრემლი ყელში მოებჯინება/ეჩხირება – სიბრაზით, წყენით ცრემლი მოადგება
ცრემლებით იხრჩობა – იგივეა
ძარღვი აეყრება – იოგები დაეჭიმება
ძარღვებს უშლის/ძარღვები ეშლება – მოუსვენრადაა, გაღიზიანებულია, აღგზნებულია, ნერვიულობს
წონასწორობას დაკარგავს – მოთმინებას კარგავს, დეგდება
წონასწორობიდან გამოდის/ გამოჰყავს – მოთმინებას აკარგვინებს, ადევლებს, აბრაზებს

გაღიზიანება, გაბრაზება და მრისხანება არსით ერთი და იგივე ემოციაა, ოღონდ გამოახატულებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გაბრაზების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია:

ბრაზი ერევა – ბრაზდება
ბრაზი მოსდის/ მოუვა – ბრაზდება
ბრაზით გასივდება – ბრაზდება
ბრაზით კვდება – ბრაზდება
ბუზანკალი შეუჯდება – მოულოდნელად იწყებს რასმე, გაგულისდება
გაბერვა თავისა – ბრაზით გასივება
გამარჯვება ღვთის რისხვად ესმის – სულ მუდამ ბრაზიანია, აღრენილია
გულზე გასკდება/ განეთქავს – გაბრაზდება
გულზე დაადგება – გაჯავრდება
გულზე ცეცხლი (შემოეკიდება – გაბრაზდება, გაანჩხლება
გულზე მოვიდა – გაბრაზდა, განრისხდა, გაანჩხლდა
გული მოსდის / მოუვა – გაბოროტდება, გაბრაზდება, გაანჩხლება
გული აენტება – ბრაზი მოერევა, გული მოუვა, გაბრაზდება
გული აუღრინდება – გაბრაზდება, აღშფოთდება
გულს მოაყვანინებს – გააბოროტებს, გააბრაზებს
გულის ადუღება – გაბრაზება, გაბოროტება ვისზედმე, გაწყრომა, შემფოთება, გამძვინვარება, ადევლება, გაჯავრება, განცდა რაიმე ძლიერი გრძნობისა
გულის გასივება – გაბრაზება, დადარდიანება, გაბოროტება, გაანჩხლება
გულის მოდება – გაჯავრება, განრისხება, ცეცხლში გატარება
გულს (გულ-მუცელს) აუძღვრევს – გააბრაზებს
გულს აწყლოდნენ – ბრაზობა, გაფიცება, თავშეუკავებლობა, მოუთმენლობა, დაუფიქრებლობა
გულს ასკდება (გულზე სკდება) – ბრაზი ახრჩობს
გულს იბოროტებს – ძლიერ დარდობს, გულს იხეთქს
გულში ბრაზს შეუკიდებს – გააბრაზებს
გულშივე ჩაკვლა ბრაზისა – მოთმენა, ბრაზის არ გამოჩენა გარეგნულად, სახეზე დაუმჩნევლობა გულმოსულობისა
თავს იბოროტებს – ძლიერ დარდობს, გულს იხეთქს
ილაჯის წაღება (გაწყვეტა) – ადევლება, მოთმინებიდან გამოსვლა, თავის მობეზრება, გულის მოყვანინება, გაბრაზება
კბილების ლესვა (ვისზედმე) – გაბრაზება, საჩხუბრად მომზადება, მზადყოფნა ვისთვისმე ზიანის მისაყენებლად
კუჭი მოუვა/ კუჭს მოუყვანს, მოაყვანინებს – გაბრაზდება
მეხის დაცემა/ დატეხვა (მეხი დაატყდება) – მოსპობა, განადგურება, შემუსვრა, აკლება, განრისხება, გაწყრომა, მოკვლა
მთასა და კლდეც ეცა – ყველაფერს მიაწყდა გაბრაზებული, ყველა მხრისკენ მიიწია

რა ბუზმა გიკბინა (რამ გიკბინა)! – რამ გაგკამწარა, რასა ცხარობ, რა გული მოგდის?
საკირისებრ ანთება – გულის მოხვლა, გაბრაზება
ტვინში სისხლი აუვარდება – მეტისმეტად გაბრაზდება
ყოფის დაწვევა – გაწყრომა, გაჯავრება, გაბოროტება?
შაქზე დოგმა – გაჯავრება, გაბრაზება, განრისხება
ჩახმახზე შედგება – გაჯავრდება, საჩხუბრად მოემზადება, აიმრიხება
ჯავრი მოუვიდა (მოსდის) – ბრაზობს, ჯავრობს

კიდევ უფრო მეტ გაბრაზებას, მრისხანებას გამოხატავენ შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

ავარდება და დავარდება – მეტისმეტად გაბრაზდება, გაცხარდება
ავენთე და დავენთე – ძალზე გაგბრაზდი, საშინელი ჯავრი მომივიდა
დორბლებს ყრის (დორბლების წამოყრა) – მეტისმეტად გაბრაზებულია, გაანჩხლებულია, გაცოფებულია
კბილებს იღესაგს (ღესაგს) – ვინმეზე ძალიან გაბრაზებულია
კბილებს იყრევენებს – ძალიან ჯავრობს, ბრაზობს
პირიდან ცეცხლს ისვრის – გაცოფებულია, გაცეცხლებულია, მრისხანებს
პირიდან ცეცხლი სწვიმს – იგივეა
პირიდან ცოფების ყრა – უზომო გულმოსულობა, გაანჩხლება, გაბრაზება, გაბოროტება, რისხვის სიტყვების წამოსროლა, წყრომა, გაჯავრება
პირიდან ნაპერწკლების ყრა – უზომო გულმოსულობა, გაანჩხლება, გაბრაზება, გაბოროტება, რისხვის სიტყვების წამოსროლა, წყრომა, გაჯავრება
რისხვის ქუხება – მეტისმეტად განრისხება, საშინელი ბრაზობა, ყვირილი
სამართებლის ფხის ასხმა – მეტისმეტად გაბრაზება, გულის მოყვანა, გააღმასება
სისხლი აუდუღდება – გაცეცხლდება
სისხლი აუვარდება თავში – მეტისმეტად გაბრაზდება
ფეხების (ფეხის) დაბაკუნება – სიბრაზით ფეხებით ბაკუნის ატეხა, ძალიან გაბრაზება
შუაზე გასკდომა – ძალიან გაბრაზება
ცეცხლის მოკიდება/ მოღება – დატანჯვა, ძალიან გაბრაზება, გაანჩხლება, დაღუპვა, მოსპობა, სიმწარე
ცეცხლის ყრა პირიდან – უზომო გულმოსულობა, გაანჩხლება, გაბრაზება, გაბოროტება, რისხვის სიტყვების წამოსროლა, წყრომა, გაჯავრება
ცეცხლს აკვებს (თვალებიდან, პირიდან) – გააფთრებულია, განრისხებულია
ცეცხლს გადმოყრის (დააფრქვევს) – მეტისმეტად გაბრაზდება, გაცეცხლდება
(თვალებიდან) ცეცხლს აფრქვევს – ცეცხლს ყრის, ნაპერწკლებს ისვრის
ცეცხლში ჩაყენება – გამწარება, შერისხვა, საშინელი წყრომა, გაჯავრება, ტუქსვა, გაბოროტება, ტანჯვა, წამება
ცოფი ერევა (უფლის) – იგივეა, რაც ცოფს ყრის
ცოფს ჰვრის – საშინლად აბრაზებს, ბრაზით ჭკუას აკარგევენებს
ცოფს ყრის – მეტისმეტად მრისხანებს
ჭიჭინაზე სკდება – ძალიან ბრაზდება
ჯავრით განეთქს – ძლიერ გააჯავრებს, გააბრაზებს

3. ბრაზის გამომწვევი ერთერთი წყაროა გარშემომყოფთა არასწორი, არასამართლიანი საქციელი. ცხადია, აქ მეტი მნიშვნელობა აქვს არა თვით ქმედებას, არამედ გაბრაზებულის ინტერპრეტაციას ამ ქმედებისა. როცა ერთი ადამიანი სხვაზე ბრაზდება, ცდილობს ეს გაბრაზება მისკენ მიმართოს, უჯავრდება ან ტუქსავს მეორე ადამიანს.

ავ დღეს დააწვევს – ძალიან გაუჯავრდება
აწი-ოწის აძახებს – შავ დღეს დააწვევს, დააწიოკებს, აიკლებს
(ვისმე) ბრაზს დაანთხევს – ძალიან გაუბრაზდება, დატუქსავს
ბრეს აადენს – დააწიოკებს, მოსპობს
ერთ ამბავს აწვევს (ერთ ყოფას დააწვევს (დაუწვევს) – უჯავრდება, ტუქსავს
ერთი ყოფა დააწია – ყვირილი ასტეხა, გაჯავრდა, ახმაურდა, აიგდო იქაურობა, იღრიალა
ვაი-ვაგლახს დაატეხს/ დააყრის – შავ დღეს დააყენებს, უბედურებას შეამთხვევს

თავზე კაკალს ამტვრევს – ძალიან უჯავრდება, ტუქსავს
თავზე გადააფხრეწს/ თავზე გადაახვეს – წყრომით რასმე დახვეს ვისიმე დასატუქსავად
კულის რიკამდე ტყავს გააძრობს/ ტყავს გააძრობს – შავ დღეს დააყენებს, მეტისმეტად დატუქსავს
მათრახს გადაჰკრავს – საყვედურს ეტყვის, გაკილავს
სეირს აჩვენებს – შავ დღეს დააყენებს
სეირს აყურებინებს – შავ დღეს დააყენებს
შავ დღეს დააყენებს (დააყრის) – სასტიკად გაუჯავრდება
ფეხების (ფეხის) დაბაკუნება – სიბრაზით ფეხების ბაკუნის ატეხვა, ძალიან გაჯავრება
ფელფელს გადააყრის – ძალიან გაუჯავრდება, გაუანჩხლდება, გაუბრაზდება
ცუდ (შავ, ცხარე, ავ) დღეს დააყრის – დიდ უსიამოვნებას მიაყენებს, ძალიან გაამწარებს, სასტიკად გაჯავრდება
ცუდ (შავ, ცხარე, ავ, ცხელ) დააყენებს, დაუყენებს – ძალიან ცუდ ამბავს დაატეხს, ყოფას გაუმწარებს, ძალიან დატუქსავს, გაუჯავრდება
ცუდს უზამს – ცუდ ამბავს დაატეხს, ყოფას გაუმწარებს, ძალიან დატუქსავს, გაუჯავრდება
ცხვირიდან ძმარს ადენს / წაადენს – შავ დღეს დააყენებს
ცხვირიდან წაადენს / წამოადენს – შავ დღეს დააყენებს
ცხვირს დაუნაყავს – შავ დღეს დააყენებს
ძმარს აწურებს ცხვირში – შავ დღეს დააყენებს
ხმას აიმაღლებს/ აუმაღლებს/ შეიმაღლებს/ აუწევს – ხმა მაღლა ეტყვის რამეს, გაუჯავრდება
ჯავრს იყრის – თავისი ჯავრის გასაქარვებლად ვისმე ავენებს, დაუშავებს რასმე, ვისმე დასჯის

4. ადამიანი სიბრაზით სხვადასხვაგვარად იქცევა. თუმცა შემდეგი ფრაზოლოგიზმების განმარტებებში არ გვხვდება “ბრაზის” აღმნიშვნელი სიტყვები, აშკარაა, რომ მათით გამოხატული მოქმედება გაბრაზებულ ადამიანის ჩადენილი შეიძლება იყოს ან მის მდგომარეობას გამოხატავდეს:

ბრეს ააადენს – დააწიოკებს, მოსპობს
გულში ჯავრს ჩაიდებს – იჯავრებს
ზურგზე ბოლს ადენს – მაგრად აცემინებს
ზურგზე ფეხით შესდგება – ფეხით ცემას დაუწყებს
ზედ ფეხით შესდგება – ფეხით ცემას დაუწყებს
თავთხელს გადაადენს – თავს გაუტეხს, გაუხეთქს
მეხს დასცემს – დიდ უბედურებას დაატეხს
მტვერს აადენს – აიკლებს
ნაცარტუტს აადენს – გაანადგურებს, მოსპობს
ნემსის ყუნწში გააძვრენს – შეავიწროვებს, არ გაახარებს
სახე (სახეზე) შეეშლება – სახეზე ჩვეულებრივი იერი შეეცვლება
სისხლი სწყურია – ვისიმე მოკვლა სურს, ვისიმე სისხლის დაღვრა აქვს განზრახული
სისხლის ღვარს დააყენებს (აწვიმებს) – ბევრ ხალხს დახოცავს
ტვინი ამღვრევა – გონება აერევა
ტვინი გადაუბრუნდება – გონება აერევა
ფერი შეეცვლება – ფერი წაუვა
ფეხით შესდგება – ფეხით ცემას დაუწყებს
ქვას ქვაზე არ (აღარ) (და)ტოვებს – ერთიანად ანგრევს, ანადგურებს, სპობს
ყურს აუწევს – დასასჯელად ყურში ხელს მოკიდებს და მოსწევს
შხამად ამოადენს – წაამწარებს, არ შეარჩენს
შხამს ანთხევს – მწარე, ღვარძლიან სიტყვებს ამბობს, ღვარძლიანად ლაპარაკობს
შხამად არგებს – არ შეარგებს, ჩაამწარებს
ცეცხლის ალში გაატარებს – ძალიან გააწვავს, გაამწარებს
ცეცხლში ჩაყრის/ ჩააგდებს – დიდ გასაჭირს შეუქმნის
ცოდვას დაატრიალებს – ბოროტებას ჩაიდენს, დაატეხს ვისმე
ცოცხალი ვერ წაუვა – ვერ გადაურჩება
ცოცხლად (ცოცხალი) დამარხვა/ ცოცხლად დამარხავს – ცოცხლებიგან გამოთიშავს, გაანადგურებს, საქვეყნოდ შეარცხვენს

ცხარე სიტყვებს ისვრის – გაცხარებით ლაპარაკობს
 ძაღლის გუნებაზეა – ავ გუნებაზეა, გაბორბტებულია
 წვერ-უღვაშს აგლეჯინებს – სანანებლად, თავში საცემად გაუხდის
 წიხლით შესდგება – ფეხით ცემას დაუწყებს
 წიხლქვეშ გაიგდებს – იგივეა
 ჭკუას დაკარგავს – გაგოუდება, ნორმალური აზროვნების უნარი წაერთმევა
 ჭკუას უბნელებს – გონებას აკარგვინებს
 ჭკუა ერყვია – ჭკუიდან იშლება
 ხანჯალზე ხელს მოისვამს – ხანჯალზე ხელს გაივლებს, იტაცებს
 ხატზე გადასცემს – დაწყევლის შეაჩვენებს, შერისხავს
 ჯავრის გულში ჩარჩენა – ჯავრის გულში ჩადება
 ჯავრს შეაჭმევს, შეჭამს – შურს არ აძიებინებს, ჯავრს არ აყრევინებს
 ჯავრს შეიძრინებს – ვისიმე ჯავრს არ (ვერ) ამოიყრის, სამაგიეროს არ (ვერ) მიუზღავს
 ჯავრი სჭირს (ვისიმე) – ჯავრის ამოყრა უნდა
 ჯავრზეა – ვისიმე ბოღმა აქვს
 ჯავრის ამოყრა (ჯავრს ყრილობს) – სამაგიეროს გადახდა, გულის მოხება, სხვისთვის უსიამოვნების მიყენებით თავისი ჯავრის შემსუბუქება
 ჯავრს ამოიღებს – სამაგიეროს გადაუხდის, ვისიმე ჯავრს ამოიყრის (ვისიმე) ჯავრში ამოვა – იგივეა
 ჯოჯოხეთში ჩაყრის/ ჩააგდებს – დიდ გასაჭირს შეუქმნის

5. ემოციურ განცდებს ყოველთვის თან ახლავს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ფიზიოლოგიაში, ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქ სისტემებში. მედიცინიდან ცნობილია, რომ გაბრაზება-განრისხების შემთხვევაში წნევა მაღლა იწევს, ხდება ჰორმონების გამოყოფა დიდი რაოდენობით და ნივთიერებათა ცვლის დაჩქარება, იმატებს გულისცემა და აქტიურდება იმუნიტეტი. ორგანიზმი ასე იმიტომ იქცევა, რომ ემზადება აგრესიისთვის. აგრესია გაბრაზების გამოსატვის აქტიური ფორმაა. აგრესია თავისთავად გულისხმობს ბრახს.

ამ ველის ფრაზეოლოგიზმებში ხშირად გვხვდება სიტყვები, რომლებიც ამგვარ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს უკავშირდება: *გული, სისხლი, ნაღველი*. საერთოდ, *გული* ხშირად იხმარება ემოციის გამომხატველ მეტაფორებში, და არა მხოლოდ ქართულში. ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ გულს, როგორც ორგანოს ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანის სხეულში არა მხოლოდ მდებარეობით, არამედ მნიშვნელობითაც. იგი ორგანიზმის საერთო სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

გული (სისხლი) (ა)ემღვრევა – ბრაზი ერევა, გული მოსდის
გული (სისხლი, სული, ბრაზი) ყელში მოებჯინა – გული მოუვიდა, სუნთქვა შეეკრა (მეტისმეტი აღელვებისგან, სიბრაზით)
გული სისხლით ავესება – ბოღმა ერევა, დარდი აწევს
გული ყელში გაეჩხირება – გული მოუვა, სუნთქვა შეეკრება (მეტისმეტი აღელვებისგან, სიბრაზით)
გული (სული, სისხლი, ბრაზი, ცრემლი) ყელში მოებჯინება/ აქვს მობჯენილი/ გული ყელში ებჯინება – იგივეა
გული ყელში სჩრია – იგივეა
ნაღველას დაქცევა – გაანჩხლება, გულის მოსვლა, ბრაზი აღელვება
ნაღველა გაასივა/ გაუხივა – ძალიან შეაწუხა, გააბრაზა, გააჯავრა

თ. სახოკია *გულთან* და *ნაღველთან* დაკავშირებით წერს:

“როცა კაცი აღშფოთებულია ბრაზისაგან, გულმოსულია, შეშინებულია, ან კიდევ გახარებულია, ეს სულიერი განცდა, პირველყოვლისა მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამოხტომას ღამობს.”

“**ნაღველი** – ბრაზი, დარდი, სიცხარე. **ნაღველის სიტყვს გამოჰყოფს ადამიანისა და ცხოველის ღვიძლი. იგი ინელებს ცხიმებს, მეტად მწარეა. ნაღველი გადაქცეულია სინონიმად ყოველივე მწარისა . . . გულის მოსვლის დროს, გულის ცემის გახშირების გამო, სიმპატიკური ნერვული სისტემა ავზნებულება, რაც იწვევს ნაღველის სადინრის დახშობას. მაშასადამე, ნაღველი გროვდება ნაღველის ბუშტში და ამ ბუშტის მოცულობა ღიძდება, ანუ, როგორც ხატოვნად ამბობს ჩვენი ხალხი, ნაღველა სივდებაო, რაც ნიშნავს უზომო სიბრაზეს.”**

სისხლთან დაკავშირებით სახოკია აღნიშნავს: “როცა გული მოგვდის და ვბრაზობთ, სისხლის ძარღვები ყელთან იბერება, ყელი ვიწროვდება და თითქო ვინმე ყელში გვიჭერს და წახრჩობა უნდა ჩვენიო” ამიტომ ვამბობთ:

- სისხლი ემღვრება** – ბრაზი ერევა, გული მოსდის
- სისხლი მოაწვება** – ბრაზი დაახრჩობს, განრისხდება
- სისხლი ყელში აწვება** – ბრაზი მოსდის, ბოღმა ახრჩობს
- სისხლი ყელში გვებჯინება** – ბრაზითა და ჯავრით ვსკდებით, საშინელი გაბოროტებული ვართ, გავცეცხლდით, გავშმაგდით)
- სისხლი ყელში მოგვივიდა** – იგივეა
- სული შეუგუბდება** – სუნთქვა შეეკერება, სული შეეხუთება
- სული ყელში მოეჯინება, ამოეჩრება** – გული მოუვა, სუნთქვა შეეკერება, სული შეეხუთება (მეტისმეტი აღვლევებით, სიბრაზისაგან . . .)
- ბრაზი (გული, სისხლი) ყელში მოეჯინება**
- ბრაზი (ბოღმა) მოაწვება (გულზე, ყელში)**
- ბოღმა გულზე აწვება** – ბოღმა ახრჩობს, ჯავრისგან სული ეხუთება, იხრჩობა
- ბოღმა ყელში ებჯინება** – იგივეა
- ბოღმა ყელში მოაწვება** – იგივეა
- ბოღმა ახრჩობს** – იგივეა
- ბოღმით ყელთამდე სავსეა** – მეტად დაჯავრიანებულია
- ბრაზი ახრჩობს** – ბრაზი მოსდის, ბოღმა ახრჩობს

ემოციის შედეგად იცვლება თვალების გამომეტყველება, კანის ელფერი და სხვ. ბრაზისთვის დამახასიათებელია კუნთების დაჭიმვა, მუშტების შეკვრა, კბილების კრაჭუნი. ყველაზე მეტად ემოცია ადამიანის სახეზე აისახება, მაგრამ მნიშვნელობა აქვს უესტებს, მოძრაობებსა და ხმასაც. ეს ყველაფერი ასახულია ფრაზეოლოგიზმებში:

- აღმური მოეკიდება** – გაბრაზდება, გაცხარდება, გაფიცდება
- თვალების დაკეცება** – თვალებისთვის მრისხანე გამომეტყველების მიცემა
- თვალებს აბრიალებს (ატრიალებს, გადაუტრიალებს, გადაუბრიალებს)** – წყრომით იყურება, მრისხანედ იყურება
- თვალებს გადმოჭიმავს** – თვალებს გადმოაბრიალებს
- თვალით გაგმირავს** – მრისხანე თვალებით შეხედავს
- თვალებით ჩაყლაპავს დაუპირებს**
- კბილების (კბილთა) ღრჭენა** – წყრომა, მუქარა, გაბრაზება
- მგლის ფერი ედება** – მრისხანე გამომეტყველებას მიიღებს
- მგელივით იყურება** – მტრულად, გაბრაზებით უცქერის ვისმე
- მგლის თვალით იყურება** – იგივეა
- მრუდე თვალით შემოხედვა** – მტრულად, ეჭვის თვალით, უსიამოვნოდ, გულმოსულად, წყრომით, უნდოდ ყურება
- ნერწყვი გაუშრება** – პირში სიმშრალეს იგრძნობს (წყენის, გაბრაზებისაგან და სხვ.)
- სამარის ფერი დაედება/ ადევს** – ძალზე გაფითრდება (ძლიერი განცდისაგან)
- სახე შეეჭმუნება** – წყრომის გამოსახატავად სახე მოედუშება
- სახეზე აღმური (სიწითლე) მოედება** – გაწითლდება
- სუნთქვა შეეკერება** – სუნთქვა შეეხუთება, სუნთქვას ვერ შეძლებს
- შუბლზე აღმურმა აუარა** – შუბლი გაუხურდა
- ხმის ამადლება (ხმას იმადლებს)** – გაჯავრება, გაწყრომა, რისხვა, შეტევა, ბრაზი, გულის მოსვლა; მედიდურობა

ხმას აუწყებს – იგივეა

ამერიკელი მეცნიერების ეკმანისა და ფრიზენის მიხედვით, გაბრაზება-განრისხებისას ბუნებრივი მიმიკური გამოხატულებებია: წარბების შეკერვა და დაწევა, ვერტიკალური ნაოჭები წარბებს შორის, გადმოკარკლული თვალები, გაფართოებული ნესტოები. ტუნები შეიძლება ორიდან ერთ მდგომარეობაში იყოს: ღია და დაძაბული, ან მოკუმული, კუთხეებში სწორი ან ქვემოთ დაწეული.

- კოპებს შეკრავს** – გაჭირვება, განრისხება, გაწყრომა, მოწყენა, დადარდიანება, დანადვლიანება
- კოპებს (კოხებს) შეიკრავს** – პირქუში გახდება, მოიღუშება
- დანა პირს (კრიჭას) არ უხსნის** – კრიჭაშეკრულია, გამშრალია, ხმას ვერ იღებს (მძიმე განცდისაგა, ბრაზისაგან და სხვ)
- კრიჭას შეიკრავს** – გამშრალია, ხმას ვერ იღებს (მძიმე განცდისაგა, ბრაზისაგან და სხვ)
- შუბლი შეეჭმუნება** – წყრომის, უსიამოვნების გამოსახატავად
- შუბლმა (მაგანისამ) ღრუბელი დაისხა** – მაგანის შუბლს ღრუბელი გადაეფარა. მაგანი უნდა გაწყრეს, გული უნდა მოიყვანოს
- შუბლის შეკერვა (შეხრა)** – განრისხება, სახეზე დარჩენა წყრომისა და უკმაყოფილებისა, დაფიქრება, გულმოსულობა
- წარბები შეეკრება** – მოიღუშება, განაწყენდება, განრისხება დაეცემა
- წარბები შეენასკება** – მოიღუშება, განაწყენდება, განრისხება დაეცემა
- წარბებს შეყრის** – მოიღუშება, შეიჭმუნება, მოიქუშება
- წარბები შეეჭმუნება** – წარბები შეეკრება წყრომის გამოსახატავად
- წარბებს შეირუშნავს** – იგივეა
- წარბს (შუბლს, კოპებს) შეიკრავს** – შუბლს შეიჭმუნის (გაბრაზების ნიშნად)

ბრაზიანი და ბოროტი ადამიანის დასახსიათებლად ქართულში იხმარება *ღვთის რისხვა, ცარიელი კუჭი, მხეცი* (მძინვარე, ფიცხელი, უღმობელი, გულქვა ადამიანი). გულმოსული, გაჯავრებული, გაბოროტებული ადამიანის აღმნიშვნელად თ.სახოკია ასახელებს სიტყვას *ჯაგარაშლილი*, რასაც ახლავს შემდეგი კომენტარი: *”ცხოველები, როგორც, მაგალითად, ღორი, ძაღლი, კატა, კრუხი და სხვა, როცა გაბრაზებულნი არიან, ზურგი აექონრებათ, თავზე ბალანი აეშლებათ.”* ამასთან დაკავშირებით, გავისხენოთ გაბრაზების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

- ბალანი აეშლება** – გაბრაზების (ან შიშის) გამო ბალანი ფეხზე დაუდგება
- ბალანს აუშვებს** – გაბრაზდება, აღელდება, გაბოროტდება, გული მოუვა
- ბეწვი აეშლება** – აიღრინება, ბრაზი მოუვა
- თმა ყალყზე დაუდგება** – გაბრაზდება
- ყალყზე დადგომა** – უსახომო აღშფოთება, გულის მოსვლა, განრისხება, გაწყრომა, გაჯავრება
- ყალყზე (ყალხზე) შედგება** – აღელდება, აბობნოქრდება
- ჯაგარი ყალყზე დაუდგება** – გაბრაზდება
- ჯაგარს აიშლის** – გაბრაზდება
- ჯაგარს (ბალანს) აშლის** – ჯაგარი (ბალანი) ყალყზე დაუდგება (შიშით ან გაბრაზების ნიშნად)

6. ცალკე უნდა შევხერდეთ ფრაზეოლოგიზმზე **ბრეს აადენს**. თ.სახოკიას აქვს **ბრეს ადენა** (და არა **ბრის**) – მორევა, დამარცხება, დათრგუნვა, გაცამტვერება. ქველ-ში *ბრე* კვეცადია (ბრისა) და ორგვარადაა განმარტებული: 1. “მტვერი ბუნარევი” (საბა). 2. *კუთხ*. (გურ.) ღომის ნაცეხვი (ნ.საბაშ). **ბრეს აადენს** – *კუთხ*. (ქიზ.) *გადატ*. დააწიოკებს, მოსპობს.

7. ხემოთ ვნახეთ, რომ გვაქვს ასეთი იდიომი – **შაქზე დგას. შაქზე დგომას** თ.სახოკია ასე განმარტავს: *”გაჯავრება, გაბრაზება, განრისხება. შაქი არაბულია, ნიშნავს ეკალს.”* როცა ეს იდიომი ჩვენს ველში შევიტანეთ, სწორედ თ.სახოკიას განმარტებას ვეყრდნობოდით. ქველ-ის მიხედვით, *შაქი* ერთი მნიშვნელობით იგივეა, რაც *შიშავი* (შუშის ერთგვარი ჭურჭელი), ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა კი მოცემულია *შაქის* მეორე მნიშვნელობასთან, რომელიც საბას მიხედვით, არის “ვეგის ჯდომა”. ეს სიტყვა დადასტურებულია მხოლოდ ორ გამოთქმაში: **შაქს დაჯდება**, რაც ნიშნავს “ქიმზე შედგება, აიმართება” და **შაქსა, შაქზე დგას** – “ფეხზეა, ამართულია”, გადატანითი მნიშვნელობით კი საჩხუბრად არის მომართული.

8. ზოგ ფრაზეოლოგიზმს ემოციური შეფერილობა ეტყობა. აგდებული დამოკიდებულება გამოსჭვივის შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში:

საქმე გამიჭირა
კუდი ეწვის
ტვინი აუღუღა
ავარდა და დავარდა
ჭიჭინაზე სკდება
კბილებს იყრევიანებს
ღორბლებს ყრის

9. ჩვენთვის საინტერესო ველის ფრაზეოლოგიზმებში ზოგჯერ ხერხდება სინონიმების ჩანაცვლება, მნიშვნელობა კი იგივე რჩება:

ღვთის რისხვა
ღვთის წყრომა

ბრაზი ახრჩობს
ბოღმა ახრჩობს

ბრაზი გულზე მოაწვება
ბოღმა გულზე მოაწვება

ერთი და იმავე ზმნასთან იხმარება სხვადასხვა არსებითი სახელი ან, პირიქით, ერთსა და იმავე სახელთან – სხვადასხვა ზმნა:

წარბს (წარბებს) შეიკრავს
კოპებს შეიკრავს
კოხებს შეიკრავს
შუბლს შეიკრავს
კრიჭას შეიკრავს

წარბები შეეკვრება
წარბები შეენასკვება
წარბები შეეყრება
წარბებს შეირუშხავს

დანა პირს არ უხსნის
დანა კრიჭას არ უხსნის

ხმას აიმაღლებს
ხმას აუწევს

თვალებს აკვესებს
თვალებს ატრიალებს
თვალებს აბრიალებს

სისხლი ყელში აწვება
სისხლი ყელში ებჯინება
სისხლი ყელში მოსდის

სული ყელში მოებჯინება
სული ყელში ამოეჩრება

სისხლი ყელში ებჯინება

ბოღმა ყელში ებჯინება
ბრაზი ყელში ებჯინება
გული ყელში ებჯინება

გული ყელში ებჯინება
გული ყელში გაეჩხირება

გულს მოუყვანს
კუჭს მოუყვანს

გულის გასივება
ნაღველის გასივება

და სხვა.

ზოგჯერ შესაძლებელია იდიომის გაფართოებაც:

სისხლი მოაწეება
სისხლი ყელში მოაწეება

გულს აუძღვრევს
გულ-მუცელს აუძღვრევს

რამ გიკბინა!
რა ბუზმა გიკბინა!

10. ამ ველის ბევრ ფრაზეოლოგიზმში გვხვდება სიტყვა *ცეცხლი*.

პირიდან ცეცხლს ყრის (ისვრის)
პირიდან ცეცხლი სწვიმს
ცეცხლის მოკიდება/ მოღება
ცეცხლს აკვესებს (თვალებიდან, პირიდან)
(თვალებიდან) ცეცხლს გადმოყრის (დააფრქვევს)
ცეცხლში ჩაყენება

საერთოდ *ცეცხლი* ბევრ ქართულ ფრაზეოლოგიზმში გვხვდება. აი, რამდენიმე მათგანი:

გულზე ცეცხლი შემოეკიდება
გულში ცეცხლი უნთია
თაგზე ცეცხლი დაენტება
კერაში ცეცხლი გაუქრება
ორ ცეცხლს შუა ყოფნა
ცეცხლი აქვს შემოდებული
ცეცხლის პურის ჭამა
ცეცხლში ჩაყრის
და ბევრი სხვა.

მათში *ცეცხლი* ხან ყველაფრის გამანადგურებელი სტიქიაა, საყოველთაო უბედურებაა, ხან – გაჭირვება, ხან – ვნება, ხან – სიცოცხლის წყარო. საინტერესოა თ.სახოკიას მოსაზრება ცეცხლზე როგორც სიმბოლოზე:

“*ცეცხლი* – უბედურება, საშინელი წამება, ტანჯვა უსაზღვრო; სიფიცხე, სიმარჯვე, გულმოდგინება.

ცეცხლს იმთავითვე დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ცივილიზაციისათვის (სითბო, სამზარეულო, ორთქლის გაჩენა) ცეცხლი შეიქმნა პირველყოფილი ადამიანის კერის,

ოჯახის სიმბოლოდ (ცეცხლის დანთება – **ოჯახის გაჩენა**). მაგრამ ამავე დღეებით მნიშვნელობასთან ერთად, ცეცხლს, თავისი გამანადგურებელი, ნივთიერებათა მომსპობი თვისების წყალობით, მიეცა მნიშვნელობა უარყოფითი, რომელიც სურათხატონად გადაიქცა სინონიმად უბედურებისა, საშინელებისა და ტანჯვა-მწუხარებისა.”

11. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმის წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანის დაკვირვებასთან ცხოვრებაზე. მაგალითად, **ტაბიკების მტვრევა** – გაბრაზება, გაცხარება, ჭირვეულობა, მოურიდებლობა. ისევ. თ.სახოკიას დავესესხებით კომენტარს: “ხარის მიერ ტაბიკების დამტვრევა, მისი მხრივ, მოითხოვს დიდ, ძალდატანებით, უსწორმასწორო მოძრაობას სხეულისას და, განსაკუთრებით, თავისა და კისრისას, დიდ მიწვე-მოწვევას, ჭირვეულობას, მოურიდებლობას, ათასნაირად დაჭიმვას კუნთებისას, სანამ აპეურით მოჭირებული ტაბიკები დაიმტვრეოდეს და გაანჩხლებული ხარი კისერს გამოიშვებდეს უღლიდან. აი, ამ სურათსაა დადარებული ბრაზიანი ადამიანის ქცევა, რომელიც იქით-აქეთ ეწვევება და მისი ყოველი მოძრაობა გლეხს მოავლენებს გაცხარებული ხარის მიერ ტაბიკების მტვრევას. გაცხარებული ხარის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს დაცინვით ეტყვიან:” მისამარ, ტაბიკებს ნუ ამტვრევ, შენს ქერქში დაეტიო!”

12. საინტერესოდ გვეჩვენება “სიბრაზის” სემანტიკის შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმების შედარება სხვა ენის მონაცემებთან. ეს სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ამჯერად რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით რუსული და ინგლისური ენებიდან:

Кровь бросилась в голову
შდრ.: **სისხლი აუვარდება თავში**

Make one’s blood boil
შდრ.: **გულის აღუღება**

Breathe fire
შდრ.: **პირიდან ცეცხლს აფრქვევს**

13. ლუი იელმსლვეი თავის ცნობილ ნაშრომში “პროლეგომენები ენის თეორიისათვის” სამართლიანად მიუთითებდა ენის მნიშვნელოვან როლზე კაცობრიობის კულტურის ინტერპრეტაციაში: “ენა, როგორც ნიშანთა სისტემა და მყარი წარმონაქმნი, წარმოადგენს ადამიანის გონიერ და ფსიქიკურ ბუნებაში ჩაწვდომის გასაღებს. ენა, როგორც ზეინდივიდუალური სოციალური ინსტიტუტი, ერის ხასიათს წარმოაჩენს.” (5, 132) თანამედროვე ლინგვისტიკის ერთერთ წამყვან დარგად სწორედ ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ანუ ლინგვოკულტუროლოგია ენას იხილავს ადამიანთან, მის აზროვნებასთან, ფსიქიკასა და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ერთერთი ძირითადი ტერმინია *კონცეპტი*, რომელსაც აქტიურად ხმარობს ამ მიმართულებით მომუშავე ყველა მეცნიერი. კონცეპტის ფუნდამენტური, მრავალსაპექტიანი შესწავლა გულისხმობს ენის ყველა შრის ანალიზს სხვადასხვა მეთოდებით. პრიორიტეტი დამსახურებულად ეკუთვნის ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ დონეს, რომელშიც კარგად ვლინდება ადამიანის, მთელი სოციუმის სულიერი კულტურა, მისი ზნეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობები.

ლინგვოკულტუროლოგიის ერთერთი მეთოდია ფსიქოლოგიის საგანის – ადამიანის მენტალობის, ემოციების, პერცეფციების ლინგვისტური მეთოდებით, ენის პრიზმაში კვლევა. თუმცა ამგვარი კვლევა არ ესწრაფვის საკუთრივ ფსიქოლოგიაში სამეცნიერო დასკვნების გაკეთებას. მისი ამოცანაა კონტრასტული ლექსიკური სემანტიკის მეთოდებით გამოარკვეოს ადამიანის სულიერებასთან დაკავშირებული ლექსიკის სემანტიკა. როგორც წესი, თითოეული ემოცია მთელი რიგი ფრაზეოლოგიზმებით გამოისატება (მაგ.: *შიში – ციგმა ოფლმა დაასხა, ტანში ცივად გასცრა, თვალთ დაუბნელდა* და ა.შ.). ერთი და იმავე ემოციის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაგანი ფორმით. ეს შინაგანი ფორმა უშუალოდ განაპირობებს მათ ხმარებას, ამიტომ ხდება სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაცია მათი შინაგანი ფორმის, ხატის მიხედვით. მაგალითად, უკვე

ნახსენები შიშის სემანტიკური ველის ფრაზეოლოგიზმები დაჯგუფდება შემდეგი მეტაფორული მოდელების მიხედვით: შიში როგორც სიცივე (ცივმა ოფლმა დაასხა, ტანში ცივად გასცრის, პარღვებში სისხლი გაეყინება); შიში როგორც ფიზიკური სისუსტე (მუხლები მოეკვეთება) და ა.შ

ემოციათა განმეტებებისადმი მეტაფორული მიდგომა პირველად ლაკოფისა და ჯონსონის ნაშრომებში გამოჩნდა (1). მათში აღინიშნა, რომ ემოციები თითქმის არასოდეს არ გამოიხატება პირდაპირ, არამედ ყოველთვის დადარებულია რაღაცასთან და მეტაფორულად აღინიშნება. რუსი ლინგვისტების ნაშრომებშიც ვხვდებით მსგავს მიდგომას: ემოციის აღწერისას ისინი გამოყოფენ შემდეგ ნიშნებს: ემოციის ინტენსიურობა, ემოციის მიზეზი, ემოციის შედეგი. X არის ემოცია Y არის სხეულის ნაწილი, რომელშიც ამ ემოციის შედეგად მიმდინარეობს სიმპტომური ცვლილებები (4). Y -ის ექსტრაორდინალური ფუნქციონირება X-ის სიმპტომია. მაგალითად, **მუხლები მოეკვეთება** – ფეხების ექსტრაორდინალური ფუნქციონირება, როგორც შიშის სიმპტომი (შდრ.: ფეხების ფუნქციონირების შეწყვეტა, როგორც შიშის სიმპტომი).

უნგრული მეცნიერის კოვეჩეშის შრომებშიც დაახლოებით ასეთ მიდგომასთან გვაქვს საქმე. კოვეჩეში ლაკოფთან (2) ერთად აღწერს შიშის ემოციის მოდელს, რომელიც ამერიკული კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ფსიქიკური მოვლენები რთულ კონცეპტურ სტრუქტურას ქმნიან, რომელში გარკვევაც იმ ენობრივი გამონათქვამების სისტემატიზაციის მეშვეობით ხდება შესაძლებელი, რომელთაც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკებები იყენებენ კონკრეტული ემოციის აღწერისას. ამგვარი კვლევა საშუალებას იძლევა სხვადასხვა ენის ემოციური კონცეპტები ერთმანეთს შევადაროთ. კოვეჩეშის აზრით, სწორედ ენა წარმოადგენს იმ იარაღს, რომელიც ემოციური კონცეპტების რთულ სტრუქტურასა და შინაარსში გავარკვევს. ენობრივი მონაცემები მეტყველებენ ამა თუ იმ ხალხის ემოციურ გამოცდილებასა და კულტურულ სპეციფიკაზე (3). ამგვარად, ემოციური გამოცდილების შესასწავლად აუცილებელია მისი ენობრივი გამოხატულების შესწავლა. "ენის საშუალებით ვაშენებთ კონცეპტურ სამყაროს" (2).

ლაკოფსა და კოვეჩეშს (2) ჩვენთვის საინტერესო ემოცია – სიბრაზე აქვთ განხილული. განხილვა გაბრაზების ფიზიოლოგიური ნიშნებით იწყება:

- 1) ტემპერატურის მომატება, წნევის აწევა, აღელვება და აღქმის უნარის დაქვეითება
- 2) გაბრაზებასთან ერთად იზრდება მისი ფიზიოლოგიური გამოვლინებაც
- 3) არსებობს ზღვარი, რომლის შემდეგაც სიბრაზის ფიზიოლოგიური გამოვლინება აფერხებს ნორმალურ საქციელს

ამის შემდეგ, სიბრაზის სიმპტომების მიხედვით, გამოყოფილია ძირითადი მეტონიმები. სიბრაზე – ეს არის:

სხეულის ტემპერატურა
შინაგანი წნევა
სახისა და კისრის გაწითლება
აღელვება
აღქმის სიზუსტის დარღვევა

ინგლისური ენის მონაცემების შესწავლის საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ რიგითი მოლაპარაკებები ღრმად აღწევენ საკუთარი ფსიქიკის სიღრმეში და, რომ სიბრაზის გამომხატველი მეტაფორები შემთხვევით კი არ გაჩენილა, არამედ პირიქით – ჩვენი ფიზიოლოგიითაა მოტივირებული; კონცეპტური მეტაფორები უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფს კი არ წარმოადგენენ, არამედ მათ საფუძველად უდევთ სხეულისმიერი (გრძნობითი) გამოცდილება. ეს ძალზე საინტერესო დასკვნაა, ვინაიდან მასში იკვეთება შესაბამისობა მეტაფორასა და ფიზიოლოგიას შორის, და არა ფიზიოლოგიასა და სისტემატიკით მნიშვნელობას შორის.

მეტონიმების მიხედვით, "სიბრაზის" სემანტიკის შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმები ასე დალაგდება:

სხეულის ტემპერატურა:

აგენტე და დაგენტე
საკირისებრ ანთება
გული აენტება
გული აუდუღდება
სისხლი აუდუღდება
გულზე ცეცხლი შემოეკიდება
პირიდან ცეცხლი სწვიმს
ცეცხლი მოედება / მოეკიდება
პირიდან ცეცხლს ყრის / ისვრის
თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს

შინაგანი წნევა:

ტვინში სისხლი აუგარდება
სისხლი მოაწვება
სისხლი ყელში ებჯინება
გული სისხლით აეცება
გული ყელში მოებჯინება
სისხლი ამღვრევა

გაწითლება:

ალმური მოეკიდება
შუბლზე ალმურმა აუარა
სახეზე ალმური (სიწითლე) მოედება

აღელვება:

გულ-მუცელს აუმღვრევს
წონასწორობას დაკარგავს
ძარღვი აეყრება
ნერვები აეშლება
მოთმინებიდან გამოდის
ერევა სული და გული

აღქმის სიზუსტის დარღვევა:

გამარჯვება ღვთის რისხვად ესმის
ცოფი უვლის
ცოფს ჰგვრის
მგელივით იყურება
მგლის თვალთ იყურება

ამ ველების ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ქართულ გაგებაში სიბრაზის გრძნობა, პირველ რიგში, მოქმედებს გულსა და სისხლძარღვთა სისტემაზე, რაზეც მიუთითებს იმ ფრაზეოლოგიზმთა სიმრავლე, რომლებიც შეიცავენ სიტყვებს *სისხლი* და *გული*. გაბრაზებას შეიძლება თან ახლდეს გაწითლებაც. მრისხანება კი, რომელიც უფრო ძლიერი ემოციაა, ადამიანის სხეულში ცეცხლის არსებობასთან ასოცირდება. მრისხანება უკვე ის ზღვარია, როცა ადამიანი კარგავს ადამიანურ სახეს და რეალობის სწორედ აღქმის უნარსაც. ამიტომ მრისხანების სინონიმებია *ცოფისა* და *მგლის* შემცველი ფრაზეოლოგიზმები.

ლაკოფისა და კოვეჩესის დასკვნები ინგლისური ენის მონაცემებს ეყრდნობა და, ცხადია, ზუსტად არ მიესადაგება ქართულ ენაში “სიბრაზის” გაგებას. ეს მხოლოდ პირველი ცდა იყო “სიბრაზის” მეტაფორული მოდელის შექმნისა ქართულ ენაში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ დაწვებული ქართული ზმნური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური დომინანტის მიხედვით დაჯგუფება ხელს შეუწყობს მათი თანამედროვე ლინგვისტური მეთოდებით შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Lakoff George, Johnson Mark, Metaphors we live by, Chicago, 1980
2. Lakoff George, Kovecses Zoltan, The cognitive model of anger inherent in American English // Cultural models in language and thought. Cambridge. Cambridge University Press, 1987
3. Kovecses Zoltan, Emotion concepts, New York etc., Springer-Verlag, 1990
4. Иорданская Л.Н., Попытка лексикографического толкования групп со значением чувства .. Машинный перевод и прикладная лингвистика. Вып.: 13
5. Ельмслев Л. Прологомены к теории языка// Новое в лингвистике. Вып.:1.Москва, 1960
6. ქეგლ ტ. 1-8
7. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979
8. რ. ამირეჯიბი, “სიკვილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 1999
9. რ. მირეჯიბი “სირცხვილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №4, 1999
10. რ. მირეჯიბი “შიშის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია “სიბრაზის” სემანტიკის შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმები მათი ლექსიკური შედგენილობის, სტილის, გრამატიკული ბუნების და ხატოვანების მიხედვით. მოცემულია ცდა მათი განხილვისა ლინგვისტური კულტუროლოგიის მეთოდების გამოყენებით. ამ სტატიაში განხილული ფრაზეოლოგიზმები ქართული ფრაზეოლოგიის ლექსიკონის ნაწილი გახდება. თემატური ნიშნით დაჯგუფებული ქართული ფრაზეოლოგიზმები შესაძლებელს გახდის მათ თანამედროვე ლინგვისტური მეთოდებით შესწავლას და მეტაფორული ხატების გამოვლენას.

Summery

Rusudan Amirejibi

Georgian idioms in the Semantic field of “anger”

This essay discusses Georgian idioms of the semantic field of “anger” according to their lexical content, grammatical nature, style and metaphoric type. The analysis uses methods of linguistical culturology. The idioms discussed in this article will form part of of a dictionary of Georgian idioms. Georgian idioms grouped according to their dominant meaning will allow further study by modern linguistic methods and deciphering their metaphoric model.